

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიაში არჩევითი მართვის ორგანოების არჩევის წესი**

მუხლი 1. არჩევითი მართვის ორგანოები და საარჩევნო კომისიები

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) არჩევითი მართვის ორგანოები: აკადემიური საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

2. აკადემიაში არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება აკადემიის საარჩევნო კომისია და ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიები.

3. აკადემიის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი. აკადემიის საარჩევნო კომისია შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 9 წევრისაგან. აკადემიის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. აკადემიის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს ამ წესის შესაბამისად.

5. აკადემიის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისი შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე .

6. აკადემიის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

7. საარჩევნო კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. აკადემიის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისია იქმნება აკადემიის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით. აკადემიის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წევრისგან, რომელთა შემადგენლობაც უნდა განისაზღვროს აკადემიის საარჩევნო კომისიის მიერ.

9. აკადემიის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა მისი შემადგენლობიდან, კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით. აკადემიის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებებს მისი კომპეტენციის ფარგლებში. აკადემიის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

10. აკადემიისა და ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი აგრეთვე არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

მუხლი 2. არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების გამოცხადება

1. აკადემიის არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნები ცხადდება ამ წესის შესაბამისად.

2. განცხადება არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით უნდა გამოიკრას აკადემიის თვალსაჩინო ადგილებში.

3. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღი და არჩევნების ჩატარების თარიღი, აგრეთვე კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

4. კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციას, ამ წესითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, განსაზღვრავს აკადემიის რექტორი.

მუხლი 3. არჩევითი მართვის ორგანოების კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს აკადემიის საარჩევნო კომისია, რომელიც უფლებამოსილია ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიას დააკისროს რეგისტრაციის ორგანიზების უზრუნველყოფა.

2. მართვის ორგანოების კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არაუმეტეს 10 დღის განმავლობაში. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაბამისი საარჩევნო კომისია ვალდებულია მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის საარჩევნო კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 4. არჩევნების ორგანიზება

1. ბაკალავრიატი/მაგისტრატურა უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.

2. აკადემიისა და ბაკალავრიატის/მაგისტრატურა საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ არჩევნების დღეს დილის 9 საათზე. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს დილის 10 საათზე.

3. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნების დღეს წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნეს:

- ა) რეგისტრატორები;
- ბ) საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი.

4. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას წილისყრაში.

5. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს უზრუნველყოფს აკადემია.

მუხლი 5. არჩევნების ორგანიზება დისტანციური წესით

1. განსაკუთრებულ შემთხვევაში (პანდემიური ვითარება; დისტანციური სამუშაო პროცესი და დისტანციური სწავლების რეჟიმი), როცა აკადემიაში არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარება ზოგადი წესის შესაბამისად შეუძლებელია, არჩევნები შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, ელექტრონული ფორმით.

2. დისტანციურად, ელექტრონული ფორმით არჩევნების ჩატარების შემთხვევაში აკადემიის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის ან აკადემიის საარჩევნო კომისია სარგებლობს „google forms“ პლატფორმით.

3. აკადემიის არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო მონაცემების (ამომრჩეველთა სია, საარჩევნო ბიულეტენი და სხვა საჭირო მონაცემები) „google forms“ პლატფორმაზე განთავსებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის/მაგისტრატურის ან/და აკადემიის საარჩევნო კომისია.

4. აკადემიის არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარებისას ბაკალავრიატის/მაგისტრატურის ან/და აკადემიის საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ხმის მიცემის ფარულობის დაცვას. „google forms“ პლატფორმის მეშვეობით ხმის მიცემა მიმდინარეობს ფარულად, ამომრჩეველის ელექტრონული ფოსტის მისამართის დაფიქსირების გარეშე. კენჭისყრის ფარულობის დაცვის მიზნით, საარჩევნო კომისია „google forms“ პლატფორმაზე მონაცემების ატვირთვის შემდგომ, თიშავს ელექტრონული ფოსტების შეგროვების ფუნქციას, რის შემდგომაც შეუძლებელი ხდება დადგენა თუ რომელმა ამომრჩეველმა რომელ კანდიდატს მისცა ხმა.

5. აკადემიის არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარებისას ბაკალავრიატის/მაგისტრატურის ან/და აკადემიის საარჩევნო კომისია ამომრჩეველებს არჩევნების დღეს, მათ მიერ მოწოდებულ ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის „google forms“ პლატფორმის ბმულს, რის შემდგომაც ამომრჩეველი აღნიშნული ბმულის მეშვეობით აფიქსირებს არჩევანს.

6. კენჭისყრის დასრულების შემდგომ ბაკალავრიატის/მაგისტრატურის ან/და აკადემიის საარჩევნო კომისია „google forms“ პლატფორმაზე დაფიქსირებული ინფორმაციის გათვალისწინებით აჯამებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას.

7. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ არჩევნებზე მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

8. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის დათლის შემდეგ, კომისიის წევრები ითვლიან არჩევნებში მონაწილე თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობას.

9. ამომრჩეველთა ხმების დათვლისთანავე საარჩევნო კომისიის მიერ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი სახის მონაცემები:

- ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
- ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა დაფიქსირებული ხმების მიხედვით;
- გ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
- დ) შეჯამებული ინფორმაცია (exel- ფაილის სახით) და შედეგების ამსახველი ინფორმაცია (ფოტო მასალის სახით) თან ერთვის შემაჯამებელ ოქმს.

ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

10. დისტანციური წესით არჩევნების ჩატარებისას გარდა ამ მუხლისა ასევე გამოიყენება ამ წესის 1-ლი მუხლი, მე-2 მუხლი, მე-4 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15 და მე-16 მუხლები.

მუხლი 6. საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვაზე პასუხისმგებელია აკადემიის საარჩევნო კომისია.

3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

- ა) დაწესებულებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სახელწოდება;
- ბ) აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვის არის განკუთვნილი ბიულეტენი;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.

4. საარჩევნო ბიულეტენი, არჩევნების დღეს, გაცივმა ამომრჩეველზე პირადობის დამადასტურებელი ან სამსახურეობრივი ID ბარათის დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 7. საარჩევნო ყუთი

1. აკადემია არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთებით საარჩევნო კომისიების აღჭურვას. თითოეულ საარჩევნო კომისიას გადაეცემა 1 საარჩევნო ყუთი.

2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვისაა იგი განკუთვნილი.

3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

4. საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.

5. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ დაფიქსირებულმა ფაქტმა შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 8. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. აღნიშნული პროცედურის შემდგომ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში, აკეთებს არჩევანს, ათავსებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა.

2. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

მუხლი 9. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა სრულდება არჩევნების დღეს 17 საათზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა ამომრჩეველმა გააკეთა არჩევანი.

2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები აჯამებენ საარჩევნო სიებში ხელმოწერების რაოდენობის მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას.

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი.

4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი, რის შემდგომაც კომისიის წევრებმა უნდა დაითვალონ საარჩევნო ბიულეტენები.

5. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული ბიულეტენები უნდა დალაგდეს ცალ-ცალკე, ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

6. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) საარჩევნო ბიულეტენზე არ აღმოჩნდა ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

7. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი სახის მონაცემები:

- ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
- ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
- გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
- დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
- ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 10. დამკვირვებელი

1. აკადემიაში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე 5 დღით ადრე მიმართონ აკადემიის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ ის არის:

- ა) კანდიდატი;
- ბ) აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი;
- გ) ამომრჩეველი.

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესს;

ბ) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;

გ) კომისიის თავმჯდომარის მიერ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;

დ) წარადგინოს საჩივარი აკადემიის საარჩევნო კომისიაში.

5. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

მუხლი 11. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან ბაკალავრიატის/მაგისტრატურის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

- ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
- ე) მოწმეების ვინაობა (არსებობის შემთხვევაში) და მათი ხელმოწერები;
- ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
- ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 12. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. აკადემიის საარჩევნო კომისია ან ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგები

მუხლი 13. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დოკუმენტით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით აკადემიის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
- ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საარჩევნო კომისიის წევრი);
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) მოწმეების ვინაობა (არსებობის შემთხვევაში);
- ე) საჩივრის შემტანი პირის მოთხოვნა;
- ვ) საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერა.

3. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

4. აკადემიის საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

5. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას აკადემიის საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

მუხლი 14. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. აკადემიის საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 15. აკადემიური საბჭოს არჩევითი წევრების არჩევა

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის 2 არჩევითი აკადემიური საბჭოს წევრი, ერთი წევრი აკადემიის ბაკალავრიატიდან და ერთი წევრი აკადემიის მაგისტრატურიდან.

2. აკადემიის ბაკალავრიატიდან აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა აკადემიური თანამდებობის პირი ან ბაკალავრიატის საბჭოს წევრი, ხოლო მაგისტრატურიდან მაგისტრატურის საბჭოს წევრი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. აკადემიური საბჭოს არჩევითი წევრი აირჩევა 4 წლის ვადით.

4. აკადემიური საბჭოს არჩევნებს აცხადებს რექტორი. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 10 დღის განმავლობაში. არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში.

5. არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში იმართება აკადემიური საბჭოს პირველი სხდომა.

6. აკადემიური საბჭოს არჩევითი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს არჩევითი წევრის უფლებამოსილების ვადით აკადემიური საბჭოს წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ დააგროვა ხმების უმეტესი რაოდენობა.

მუხლი 16. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ცხადდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელშიც აღინიშნება, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი.

2. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში. განცხადებების მიღების ვადის დასრულებიდან 10 დღის ვადაში აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. საარჩევნო პროცედურას ატარებს აკადემიის საარჩევნო კომისია.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება კანდიდატი რომელმაც დააგროვა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმათა უმრავლესობა.

მუხლი 17. ცვლილებების და დამატებების შეტანა

წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დოკუმენტის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.